სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/99

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 05 ივნისის სხდომის ოქმის №5-ის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს მოდიფიცირებული სახით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია";
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**